პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 279 (12791) | შაბათი, 30 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ამწყობი ზეინკლები (მარცხნიდან) კოჟუნისტური შრომის ბრიგადის ოსტატი ალექსანდრე ბოლოტინი და ბრიგადის წევრი გოდერძი ჭელიძე დგანან საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# პარტიული მუშაობის დიდ უბანგე

ჩვენი დიდი ცხოვრების ყველა უბანზე მოღვაწეობენ ადამიანები, აღჭურვილნი კომუნისტთა მაღალი ნდობით და იმ ნათელი შეგნებით, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან მთელი კოლექტივისა და კოლექტივის თვითეული წევრის ბედისათვის, რომ მათი ამოცანაა უნარიანად წარმართონ მასების შემოქმედებითი ენერგია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის, იბრძოლონ ახალი ადამიანის აღზრდისათვის.

ეს ჩვენი პარტიული აქტივია — პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, კომიტეტებისა და ბიუროების წევრები, პარტიული ჯგუფების ორგანიზატორები.

ამ ერთი თვის წინათ საქართველოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები. ახლაც, როგორც წინა წელს, პრაქტიკულად განხორციელდა პარტიული ორგანოების შემადგენლობის სისტემატური განახლების პრინციპი და პარტიულ მუშაობაში ჩაება ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი. მოვიდა ახალი აქტივი. ჩვენი რესპუბლიკის 9.234 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მდივნად წელს პირველად იქნა არჩეული 4.293 კომუნისტი, ხოლო მეორედ — 4.700 კომუნისტი. მათ შორის 1.987 კომუნისტი ქალია. მარტო თბილისში წელს პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად 702 ახალი ამხანაგი აირჩიეს. თითქმის სანახევროდ განახლდა კომიტეტებისა და ბიუროების შემადგენლობა მახარაძის, თელავის, ზუგდიდის და სხვა საწარმოო სამმართველოების პირველადს პარტორგანიზაციებში.

ეს უბრალო სტატისტიკა როდია. ეს ნიშნავს იმას, რომ პარტიულ მუშაობაში უფრო ფართოდ ჩაება ახალი აქტივი, რომ პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობაში კომუნისტთა ფართო მონაწილეობა უფრო მჩქეფარეს და სისხლსავსეს გახდის თვითეული პირველადი ორგანიზაციის ცხოვრებას, ასპარეზს ქმნის იმისათვის, რომ ათასებმა და ათიათასებმა გამოავლინონ ორგანიზატორული მოღვაწეობის ნიჭი და უნარი.

მაგრამ იგივე სტატისტიკა იმაზე მიგვითითებს, რომ ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ახალი აქტივის სწავლებასა და აღზრდას.

ორგანიზატორული მუშაობის ხელოვნება დაბადებისთანავე როდი გამოყვება ადამიანს. იგი უნდა შეიძინონ თანდათანობით, პრაქტიკულ მოღვაწეობაში მიღებული გამოცდილებით. დაეხმაროთ მათ სწრაფად შეიძინონ ეს გამოცდილება, დაეუფლონ მასებთან ორგანიზატორული მუშაობის ჩვევებს — ეს საქალაქო, რაიონული, საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების უპირველესი მოვალეობაა.

და სადაც ღრმად ჩაუკვირდნენ ამ ჭეშმარიტებას, სადაც პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების დამთავრებისთანავე ხელი მოჰკიდეს პარტიული აქტივის სწავლებასა და აღზრდას, იქ უკვე ყოველდღიური შედეგები ცხადდება, თუ როგორ მაღლდება თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, რა სწრაფად და გონივრულად წყვეტენ ადგილებზე ცხოვრების საჭიროროტო საკითხებს.

მეტად კარგი ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა. აქ საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყეს პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ოთახი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიიღონ საჭირო კონსულტაციები მათთვის საინტერესო საკითხებზე, შეიძინონ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება.

ამ მხრივ აგრეთვე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი. აღსანიშნავია, რომ კომიტეტის წევრებმა ახლადარჩეულ მდივნებს მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაუწიეს საჭირო კონსულტაცია, მოამარაგეს დამხმარე ლიტერატურით, პირადად დაესწრნენ ორგანიზაციებში პარტიული საქმეების მიღებას. ცხაკაიაში ახლა ორი პოლიტიკური განათლების კაბინეტია, რომლებშიც მოეწყო „პარტიული ორგანიზაციის მდივნის კუთხე". პარტიული აქტივის წევრებს აქ ყოველთვის შეუძლიათ ნახონ პარტიული ლიტერატურა, ისარგებლონ სხვადასხვა თვალსაჩინოებით. კომიტეტმა ამ დღეებში პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისათვის გამართა სემინარი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდნენ პარტიული კომიტეტის მდივანი და მდივნის მოადგილეები.

აქტივის სწავლებისათვის სერიოზულად ზრუნავენ რუსთავის საქალაქო, მახარაძის, სიღნაღის საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები. ისინი ამ მუშაობისათვის უნარიანად იყენებენ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილ სხვადასხვა კომისიებს, როგორც არის პარტიაში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების განხილვის, სოფლის მეურნეობის, იდეოლოგიური მუშაობის კომისია და სხვ.

მაგრამ ყველა პარტიული კომიტეტი თანმიმდევრულად ახორციელებს თუ არა პარტიული აქტივის სწავლებისა და აღზრდის ამოცანას? იყენებს თუ არა ყველა ფორმასა და საშუალებას მისი გამოწრთობისათვის?

პირველ რიგში საჭიროა ხელმძღვანელ პოსტზე ყოველ ახლად არჩეულ კომუნისტს განსაკუთრებით ღრმად ესმოდეს თავისი მოვალეობა, უნდა აღვზარდოთ მასში კოლექტივის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ხშირად კი ხდება ასე: აი საქალაქო ან სასოფლო პარტიული კომიტეტის მდივანი მთელი საათობით ლაპარაკობს სამეურნეო წარმატებასა თუ ნაკლოვანებაზე, აქებს ან აკრიტიკებს სამეურნეო ხელმძღვანელებს, და საოცარია, რომ მისგან ერთ სიტყვასაც ვერ მოისმენთ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის, პარტიული კომიტეტისა და ბიუროს წევრების მუშაობის შესახებ. სამწუხაროდ, კონფერენციებზე, ზოგიერთი პარტიული კომიტეტის მოხსენებებშიც, რომლებიც ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარეობს, ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხებს.

შეუწყნარებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები ზოგჯერ თვალი თვეობით უყურადღებოდ ტოვებენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ადგილებზე არ უწევენ მათ კონკრეტულ დახმარებას. გალის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კონფერენციაზე დელეგატმა მ. მანჯგალაძემ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ სამმართველოს პარტიული კომიტეტის მუშაკები სოფელ რეფის კოლმეურნეობის იშვიათი სტუმრები არიან. კოლმეურნეობა კი საგრძნობლად ჩამორჩება, კომუნისტები ვერ დგანან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ავანგარდში.

კადრების სწავლება და აღზრდა, ამასთანავე, გულისხმობს იმას, რომ ჩავუნერგოთ მათ როგორც სხვებისადმი, ისე საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობა. თუ დახმარება სჭირდება ამა თუ იმ მუშაკს, უნდა დროულად დავეხმაროთ, ხოლო თუ უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, საქმე ჩაშალა, პასუხი უნდა ვაგებინოთ.

ლენინგორის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე აღინიშნა, რომ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოუვლელობით თითქმის მთლიანად განადგურდა 134 ჰექტარი სიმინდი. ბიყარის კოლმეურნეობის მინდვრებში დაუდევრად დათესეს 10 ჰექტარი ხორბალი და 5 ჰექტარი ლობიო, რის გამო თესლი არ აღმოცენდა. ასევე მოხდა სოფელ წოლდის კოლმეურნეობაში, სადაც არ აღმოცენდა 10 ჰექტარი სიმინდის ნათესი. ამ შეუწყნარებელი მდგომარეობისათვის კი არავითარი პასუხისმგებლობა არ უგრძვნიათ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს შ. ხარიროს, ზ. მარგიევს და ა. თუაევს.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, კომიტეტებისა და ბიუროების წევრები, პარტიული ჯგუფების ორგანიზატორები პარტიული მუშაკების ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიაა, რომელიც კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგას. საჭიროა მიღწეულ იქნას, რომ ამ არმიის თვითეულ წევრს კარგად ესმოდეს თავისი როლი და წარმატებით ასრულებდეს მას. ეს კი ნიშნავს უზრუნველყოფა პარტიული მასების აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი განვითარება, პირველადი პარტორგანიზაციების მთელი მუშაობის დონის ამაღლება.

# შვიდწლედის მეხუთე წელი—ვადამდე!

## მრომითი საჩუქრები

**ბ ყიბული.** (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, მორიგი წარმატება მოიპოვა — სამშობლოს ვადაზე 20 დღით ადრე უპატაკა ქვანახშირის მოპოვების 11 თვის სახელმწიფო დავალების შესრულება.

**ქ უთაისი.** (საკ. კორ.). საშენ მასალათა კომბინატმა ვადაზე ათი დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა თერთმეტი თვის დავალება და 792 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

კერამიკული ნაწარმის საამქრომ (უფროსი ა. გენძეხაძე) უკვე გაანაღდა წლიური დავალება და 4.100 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

**თ ბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის"** კოლექტივმა თეთრეულის გამოშვების წლიური გეგმა თექვსმეტი ნოემბრისათვის შეასრულა. ამავე დროისათვის ტრიკოტაჟის გამოშვების წლიური საწარმოო დავალება შესრულებულია 100,4 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 100,7 პროცენტით.

**ზ ესტაფონი.** (საკ. კორ.). ხორცკომბინატის ტყვარჩელის საამქროს კოლექტივმა 20 ოქტომბრისათვის გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება და ახლა პროდუქციას უშვებს მომავალი წლის ანგარიშში.

**ვ ანი.** საკონსერვო ქარხანამ პირველი ნოემბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით მომზმარებელს მიაწოდა 200 ათასი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი.

### გეგმა შესრულებულია

**ყვარლის** საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა 20 ნოემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 17.000 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 17.162 ცენტნერი ხორცი. 110,3 პროცენტით შესრულებულია მატყლის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.538 ცენტნერი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.388 ცენტნერისა. (საქდესი).

### მგაზ არის პირველი აგრეგატი

**ბ არდადანი.** (საკ. კორ.). გარდაბანში შენდება რესპუბლიკაში ერთ-ერთი მსხვილი ელექტროსადგური. ის იმუშავებს გაზზე და თხევად სათბობზე. მშენებლებმა, რომლებიც აქტიურად ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს, ამ დღეებში დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს პირველი საქვაბე მეურნეობა. ამრიგად, მზად არის პირველი აგრეგატი, რომელიც ამოქმედების შემდეგ გამოიმუშავებს იმდენ ელექტროენერგიას, რასაც ამჟამად იმუშავებს ყველა ერთად აღებული ელექტროსადგური საქართველოში.

# თანამშრომლობის სულისკვეთებით

## საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკე

**ს აბჭოთა** კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების საკითხები განხილულ იქნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სსრ კავშირში ყოფნის დროს 25-28 ნოემბერს. მოეწყო აგრეთვე აზრთა გაზიარება სხვა საკითხებზე, რომლებიც ორივე პარტიას, ორივე სახელმწიფოს აინტერესებს.

შეხვედრებსა და საუბრებში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი ვ. ვ. დიმიციი, მ. ა. ლესეჩკო და პ. თ. ლომაკი, სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები; ჩეხოსლოვაკიის მხრივ — დელეგაციის მეთაური, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ი. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერნიკი და სხვები.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ ნათქვამია, რომ აზრთა გაზიარებამ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებზე დაადასტურა, რომ ორივე მხარე სავსებით ერთსაზრად აფასებს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ახლანდელ ბრძოლას მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ხაზგასმულია, რომ ხელშეკრულების დადებამ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ დადებინი გაკეთდა მოახდინა საერთაშორისო ვითარებაზე და ახალი შესაძლებლობები შექმნა იმ სახელმწიფოთა ურთიერთგაგების მიღწევისათვის, რომლებიც მობერდაპირე სოციალურ სისტემებს ეკუთვნიან.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისინი, ისე როგორც სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, განუხრელად იბრძვიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულება, და მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებაში ამ საკითხზე. საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, აღნიშნულია კომუნიკეში, ხელს შეუწყობდა თავდაუსხმელობის პაქტის დადება ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის, უატომო ზონების შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, აგრეთვე სხვა ამგვარ ღონისძიებათა განხორციელება.

ორივე მხარეს ერთნაირად მიაჩნიათ, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს ევროპაში გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემის გადაჭრის გზით. ორივე მხარეს იმედი აქვს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა შორის მოწყობეულ საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმებათა ძიება გაგრძელდება.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მხარეებმა კვლავ ხაზი გაუსვეს, რომ მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ჩვენს დროში სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ომის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ქვეყნისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების საერთო მეცადინეობით, მსოფლიო ომი შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები შეთანხმდნენ 20 წლით განაგრძონ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის, ურთიერთდამხმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც 1943 წლის 12 დეკემბერს დაიდო. ოქმს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა; ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ამხანაგებმა ა. ნოვოტნიმ და ი. ლენარტმა. ორი უკანასკნელი ათეული წლის ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეს ხელშეკრულება ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოლაპარაკების მსვლელობაში აგრეთვე შეთანხმდეს სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1964-1965 წლებში და შემდგომ წლებში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, ერთსულოვნად გაუსვეს ხაზი იმას, რომ პერიოდი, რომელიც გავიდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების უკანასკნელი მოლაპარაკების დროიდან, აღინიშნა ორივე ქვეყნის კომუნისტური პარტიების ყოველმხრივი კავშირურთიერთობის შემდგომი გაღრმავებით. ორივე პარტიამ დაადასტურა ერთგულება განსცდებისა და დეკლარაციისადმი, რომლებიც ერთხმად მიიღეს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1957 წლისა და 1960 წლის თათბირებმა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს დოკუმენტები მთლიანად ინარჩუნებენ ძალასა და მნიშვნელობას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

სკკპ და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ კვლავ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სიწმინდე, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო კოლექტიური ხაზი, იბრძოლონ სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყნის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების შეხვედრები და საუბრები მიმდინარეობდა ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით და გამოავლინეს სავსებით ერთსაირი შეხედულებანი ყველა განსახილველ საკითხში. (საკდესი).

### ა. ი. მიქოიანი ვოსკოვს დაბრუნდა

**მოსკოვი,** 28 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ვაშინგტონიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი. ა. ი. მიკოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო, რათა მონაწილეობა მიეღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფიტზჯერალდ კენედის დაკრძალვაში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ ა. ი. მიკოიანს შეხვდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის საგარო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. სემიჩასტნი და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ფოი დ. კოლერი, ამერიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

### კინოლენტების ფესტივალი

**ვ ილნიუსში** დაიწყო დოკუმენტური და მხატვრული კინოლენტების ფესტივალი. ეს კინოლენტები მოგვითხრობენ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ცხოვრებას, ფესტივალი მიძღვნილია აფრიკის დღისადმი. (საკდესი).

### ფ. ენგელსისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

**ფ რიდრიხ** ენგელსის დაბადების 143 წლისთავთან დაკავშირებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო სესია. სესიამ მოისმინა მოხსენებები: ს. ზ. ლევიოვსი: „გერმანიის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მოთხოვნები, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს 1848-1849 წლების რევოლუციის დროს" და თ. გ. რიაბოვისი: „ისტორიული მნიშვნელობა ფრიდრიხ ენგელსის ბრძოლისა სოციალისტური პარტიების სწორი პოზიციისათვის ომისა და მშვიდობის საკითხებში XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში". სესიამ მოისმინა აგრეთვე, მ. ა. გლადიშევას მოხსენება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივის კ. ლიბკნეხტის დოკუმენტების ფონდის შესახებ.

### ზრომითი გამარჯვეგეგის პატაკეგი

## თევზის მრეწველოგის მუშაკთა სახელოვანი გამარჯვეგა

**სკკპ** ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მუშაკებს თევზისა და სხვა ზღვის პროდუქტების 42,2 მილიონი ცენტნერის მოცულობით მოპოვების წლიური გეგმის ვადადე შესრულება. ეს 4,6 მილიონი ცენტნერით მეტია ვიდრე გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის.

ეს სახელოვანი შრომითი გამარჯვება, ნათქვამია მისალმებაში, — თევზსარეწი ფლოტის მეზღვაურებს, კომბინატების, თევზის მრეწველობის ყველა მუშაკის ყოველდღიური დაძაბული შრომისა და დიდი ოსტატობის, აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უნარიანი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

18 ნოემბრისათვის — 11 თვეზე ნაკლებ დროში, წლიური გეგმის შესრულება გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობები და რეზერვები აქვს თევზის მრეწველობას ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდების საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებით მიულოცეს დასავლეთის აუზისა და აზოვ-შავი ზღვის აუზის მეგადურებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თევზის პროდუქციის წარმოების გადიდებაში. (საკდესი).

### მ ო კ ლ ე დ

☐ **ყ უბანის** გეოლოგებმა აღმოაჩინეს ანატიტების 22 საბადო. ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო ეს ძვირფასი ხედლეულის მარაგი მილიონობით ტონას შეადგენს.

☐ **ხ აბაროვსკის** მხარეში ბურეის ქვანახშირის აუზში აღმოჩენილია 23 მილიარდი ტონა ქვანახშირი.

☐ **ჩ ვენს** ქვეყანაში ფართოდ ცნობილ საყოფაცხოვრებო მაცივრებს მალე შეეტატება ახალი მაცივარი „რიეანინი".

☐ **ლ ენინსკის** ქიმიურმა ქარხანამ კრასნოდარის მხარეში დაიწყო სილიკატური საღებავების გამოშვება. ეს საღებავები კარგად უძლებენ წყალსა და მზეს. ამ საღებავებით შეღებული შენობის ფასადი ათეული წლის მანძილზე არ საჭიროებს რემონტს.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიაში

**ბ აიმართა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის მოხსენება ზესტაფონის, სიღნაღისა და გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა ბ. გიგიბერიამ, ს. დურმიშიძემ, ო. აბესაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ზესტაფონის, სიღნაღისა და გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სამმართველოებში შემავალ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისათვის. მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისა.

კომისიამ დაადგინა, რომ საკითხი შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.




### პრეზიდენტ ლ. ჯონსონის გამოსვლა

**ვ აშინგტონი,** 29 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა გუშინ საღამოს რადიოთი და ტელევიზიით მიმართა ამერიკელ ხალხს ტრადიციული „მადლობის დღის" გამო.

„ჩვენ ყველამ განვიცადეთ შვიდი დღე, — თქვა ჯონსონმა, — რომლებსაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დავიწყებს". მოაგონა რა ამერიკელებს პრეზიდენტ კენედის ტრაგიკული დაღუპვა, ლინდონ ჯონსონმა მოიწოდა მათ დაიცვან ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთობა, დაიჩქარონ იმ დღის მოახლოება, როცა აღარ იქნება რასობრივი, რელიგიური და რეგიონალური წინააღმდეგობანი.

ჯონსონმა გამოაცხადა, რომ განსვენებული პრეზიდენტის კენედის ხსოვნის აღსანიშნავად მისი სახელი დაერქმევა კანავერალის კონცხს, რომელსაც ამიერიდან ეწოდება კენედის კონცხი, აგრეთვე ატლანტიკის სარაკეტო პოლიგონის № 1 სადგურსა და აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს სასტარტო ცენტრს ფლორიდაში.

### ზრომითი გამარჯვეგეგის პატაკეგი

## თევზის მრეწველოგის მუშაკთა სახელოვანი გამარჯვეგა

**სკკპ** ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მუშაკებს თევზისა და სხვა ზღვის პროდუქტების 42,2 მილიონი ცენტნერის მოცულობით მოპოვების წლიური გეგმის ვადადე შესრულება. ეს 4,6 მილიონი ცენტნერით მეტია ვიდრე გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის.

ეს სახელოვანი შრომითი გამარჯვება, ნათქვამია მისალმებაში, — თევზსარეწი ფლოტის მეზღვაურებს, კომბინატების, თევზის მრეწველობის ყველა მუშაკის ყოველდღიური დაძაბული შრომისა და დიდი ოსტატობის, აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უნარიანი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

18 ნოემბრისათვის — 11 თვეზე ნაკლებ დროში, წლიური გეგმის შესრულება გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობები და რეზერვები აქვს თევზის მრეწველობას ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდების საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებით მიულოცეს დასავლეთის აუზისა და აზოვ-შავი ზღვის აუზის მეგადურებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თევზის პროდუქციის წარმოების გადიდებაში. (საკდესი).

### ამერიკელი მუსიკოსი აღასტურებს

**სტოკჰოლმი,** 29 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკელი მუსიკოსი როი პარკერი დიდხანს მუშაობდა დალასში კაბარეს მფლობელ ჯეკ რუბისთან. ახლა პარკერი სტოკჰოლმში ცხოვრობს. ჯეკ რუბის შესახებ შენიშნავად იცნობს.

— დალასელ პოლიციელებს უყვართ ქრთამი, — განაცხადა მან შვეციის ტელევიზიაში გამოსვლის დროს. — არ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ რუბიმ მოისყიდა პოლიციელები და შეიპარა იმ შენობაში, საიდანაც ოსვალდი უნდა წაეყვანათ. რუბის ყოველთვის ჰქონდა თან იარაღი და დაკავშირებული იყო დალასელ განგსტერებთან. არ გამიკვირდება, თუ რუბის მალე გაანთავისუფლებენ, თქვა დასასრულ როი პარკერმა.

### ამერიკელი მუსიკოსი ადასტურებს

**სტ ოკჰოლმი,** 29 ნოემბერი. (საკდესი).

ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე

# პარტიული ცხოვრება

# ყველა შახჭი რომ რიგმულად მუშაობდეს

„ შავი ოქროს“ ქალაქი — ტყიბული ახლა მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს. სამეურნეო წლის დამთავრების მოახლოება იგრძნობა ყველა შახტში, უბანსა და სანგრევში. თვითეული მუშაც — კომუნისტი თუ უპარტიო, გაორკეცებული ენერგიით შრომობს იმისათვის, რომ წარჩინებით დაამთავრონ შვიდწლედის მეხუთე წელი, მისცენ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი „მრეწველობის პური“.

ეს აბრი წითელ ზოლად გასდევდა ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო პარტიული ორგანიზაციის მეორე კონფერენციასაც. მომხსენებელმა — ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯ. ლომაძემ და კამათში სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით აგებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. პარტიული ორგანიზაციები, სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტი ახლა უფრო ღრმად წედებიან მრეწველობისა და მშენებლობის ეკონომიკას, მთავარ ყურადღებას აქცევენ ტექნიკურ პროგრესს, წარმოებაში პროგრესული მეთოდების დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას. ორატორებმა მოიყვანეს ბევრი დამაჯერებელი ფაქტი და ციფრი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ტყიბულის მრეწველობას არასოდეს არ უმუშავნია ისე რიტმულად და ნაყოფიერად, როგორც წელს. ტყიბულქვანახშირის ტრესტმა მიმდინარე წლის ათ თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღო 39 ათასი ტონა ქვანახშირი, თითქმის ორჯერ იმაზე მეტი, რაც სოციალისტური შეჯიბრებით იყო გათვალისწინებული. წელს ბევრი რამ გაკეთდა ჭერის მართვის პროგრესული მეთოდის — პიდრავლიკური ვსების გასაფართოებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკური პრემიები რამდენჯერმე მოპოვეს დასავლეთისა და ლენინის სახელობის შახტებმა, ქვანახშირის გამამდიდრებელმა ფაბრიკამ და ცენტრალურმა ელექტრომექანიკურმა სახელოსნომ. გამართულად მუშაობენ აგრეთვე შაორჩესი და ტყიბულჩესი, კურსების გრანატის ქარხანა და სხვ.

კონფერენციის მონაწილენი დაკენენით მოითხოვდნენ გადაუჭრელი ტექნიკური საკითხების მოგვარებას, სახადენენ გზებსა და საშუალებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

— ჩვენს შახტებში — აღნიშნა თავის გამოსვლაში ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ნ. კვინიხიძემ, — ნელა აკიდებს ფეხს ავტომატიკა და უახლესი მექანიზმები. შარშან ავტომატიზაციაზე გადაყვანილ იქნა 16 ტრანსპორტიორი, წელს კი — 10. თუ ასე გაგრძელდა, ტრანსპორტიორების მთლიან ავტომატიზაციას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება. ამ სახელმწიფოებრივ საქმეს აფერხებს ცუდი მომარაგება. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ვერ გვაწვდის სათანადო აპარატებსა და მოწყობილობას.

კომუნისტები მოუთმენლად აკრიტიკებდნენ ყველას, ვინც ცუდად იყენებდა არსებულ მექანიზმებს, არ იღებდა ზომებს დაუდგმელი და გამოუყენებელი მანქანების როდენობის შესამცირებლად. მოიყვანეს ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტები: ტყიბულშახტმშენის სამმართველოს ბაზაში წლების მანძილზე უქმად აწყია ცემენტის ავტომატური განმტვირთველ-ჩამტვირთველი მექანიზმები, რომელთა საერთო ღირებულება საკმაოდ დიდ თანხას — 12.712 მანეთს შეადგენს.

ნოვატორობა, სიახლის გრძნობა პირველად პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ორჯონიკიძის სახელობის შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. დონეც�sკელ ნოვატორთა მაგალითისამებრ აქ დანერგეს შრომის ორგანიზაციის ახალი, მოწინავე ფორმა — საღღეღამისო კომპლექსური ბრიგადები, რამაც შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაზარდა. მაგრამ, როგორც დელეგატებმა აღნიშნეს, ამ სიახლეს თავის დროზე არ ჩასწიდეს ხელი ლენინის სახელობისა და დასავლეთის შახტების სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

კონფერენციის მუშაობაში გარკვეული ადგილი დაიკავა ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებმა. ტყიბულელმა მეშახტეებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ დიდი ქიმიის შექმნაში, — ამბობდნენ დელეგატები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ტყიბულშახტმშენის სამმართველო, რომელმაც ჩაშალა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის გეგმები. შახტმშენებლებმა მიმდინარე წლის ათი თვის სახელმწიფო დავალება საკუთარი საშუალებებით მხოლოდ 90,2 პროცენტით შეასრულეს.

ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა: ლენინის სახელობის შახტის პარტიბიუროს მდივანმა ტ. გაბრიჭიძემ, განათლების განყოფილებიდ გამგემ გ. ნასარაიამ, ელექტრომექანიკური სახელოსნოს უფროსმა ვ. კაზიონმა, ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა დ. ხეცურიანმა, შაორჩესის დირექტორმა ს. გვენეტაძემ და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. გომელაური.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი და აირჩია საქართველოს კპ XXII ყრილობის დელეგატები.

ვ. ციბრეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

## სამეცნიერო კონფერენცია რუსთავში

# კომუნისტური შრომის გვარდია

რუსთავში სულ ფართოდ იკიდებს ფეხს კომუნისტური შრომა, ყოფაცხოვრება. კომუნისტური შრომის პირველ პიონერად სამართლიანად ითვლება მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედა საამქროს უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არჩილ ძამაშვილი. 1958 წლის 21 ნოემბერს, პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში არჩილ ძამაშვილის მებრძმედთა ბრიგადას რესპუბლიკაში პირველს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი.

და მალე მას რუსთავში გამოუჩნდნენ მხარის დამჭერნი. აი ისინიც: ცხობილი მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ფანცულაია, მგლინავები ა. ჯაჯანიძე, ვ. მერაბიშვილი, ნ. კურატაშვილი და მრავალი სხვა.

შემდეგში კომუნისტური შრომის იდეამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მალე ქარხანაში გაჩნდნენ არა ცალკეული ბრიგადები, არამედ მთელი უბნები და საამქროები.

უფრო მეტიც: ორი წლის წინათ, როცა მოსკოვში მიმდინარეობდა კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელთა სრულიად საკავშირო თათბირი, მეტალურგიული ქარხნის კულტურის სასახლეში თავი მოიყარეს რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლებმა და საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ იბრძოლებენ, რათა გადააქციონ რუსთავი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად.

რა მისცა რუსთაველებს კომუნისტურმა შრომამ და ყოფამ? პირველ ყოვლისა გადაჭარბებით სრულდება მეტალურგიული და ქიმიური პროდუქციის გამოშვების გეგმები, ქალაქში დამკვიდრდა რეჟიმი. ბრიგადების შექმნის მეხუთე წლისთავს. აქვე, კონფერენციაზე, განზოგადებულ იქნა რუსთავის მშრომელთა წარმატებები და გამოცდილება.

კონფერენციას ესწრებოდნენ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავენი, სპეციალისტები, რესპუბლიკის საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კონფერენცია შესაფერი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სტურუამ.

მოხსენება „კომუნისტური შრომისათვის ბრძოლა — საქართველოში“ „ალბათ ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. [illegible] ...ლმა. მან რუსთავის, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოწინავე საწარმოთა მაგალითზე ააგო თავისი მოხსენება და მოგვიანებულ, სამმის ღრმა ცოდნით განაზოგადა კომუნისტურ შრომაში მოპოვებული წარმატებები.

საინტერესო მასალებით გამოვიდა ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი კ. თოფურიძე. იგი შეეხო საკითხს — „რუსთავის მშენებლობის ისტორიიდან“

იმ საკითხს, თუ როგორ იზრდება კომუნისტური შრომისათვის მებრძოლთა რიცხვი, კონფერენციაზე ფართოდ შეეხო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კობახიძე. მან მოიყვანა ციფრები იმის შესახებ, რომ ქარხნის მუშათა 40 პროცენტზე მეტი ჩაბმულია კომუნისტური შრომის ბრიგადებსა და სხვა კოლექტივებში, აგრეთვე აღინიშნა, რომ 7.000 მეტალურგი სწავლობს სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

კონფერენციის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ კომუნისტური შრომის პირველი პიონერის — არჩილ ძამაშვილის გამოსვლას.

ზ. მერკვილაძე.

## ჯაბლო ნერუდას მოწოდება

ჰავანა, 28 ნოემბერი. (საკდესი). „ეკვადორში ასობით პატიმარია კოლონიურ საპყრობილეებში გაუსამართლებლად და გამოუძიებლად, მათ არ ეწევათ სამედიცინო დახმარება; უნივერსიტეტები იხურება, ხელისუფლება ერევინა მათს საქმეებში, მასწავლებლებს ითხოვენ და დევნიან“, — ნათქვამია ცნობილი ჩილელი პოეტის პაბლო ნერუდას მიმართვაში ლათინური ამერიკის ხალხებისადმი ეკვადორის მდგომარეობასთან დაკავშირებით, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.

მიმართვაში, რომლის ტექსტი სანტიაგოდან გადასცა პრესა ლატინის საააგენტომ, ნაზგასმულია, რომ სამხედრო პირები, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება ამ ქვეყანაში, „თავისუფლების, კულტურისა და ღირსების მნგრეველნი არიან“. ეკვადორში „დაიწყო აშკარა ბარბარობის პერიოდი“.

პაბლო ნერუდა მოუწოდებს ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს მტკიცე პროტესტი განაცხადონ ადამიანის ღირსებათა დარღვევისა და კულტურის ჩახშობის წინააღმდეგ ეკვადორში და გამოთქვამს იმედს, რომ ეკვადორელი ხალხის უფლებანი და თავისუფლებანი აღდგენილ იქნება.

# ტეხასის შტატის გუბერნატორის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტოს კორესპონდენტი დალასიდან იუწყება:

გუბერნატორმა ჯონ კონელმა, რომელიც დაიჭრა წარსულ პარასკევს, როცა პრეზიდენტი კენედი მოკლეს, პირველი ინტერვიუ მისცა დაჭრის შემდეგ. ეს ინტერვიუ გადასცეს შინაგანი სატელევიზიო ქსელით პარკლენდის პოსპიტლიდან.

„ჩვენ ეს-ეს იყო მოვუხვიეთ კუთხეში (ელმ-სტრიტზე), როცა გავიგონე სროლის ხმა, — განაცხადა კონელმა. — ვფიქრობ, რომ ამ კაცმა ქნა ის, რაც განზრახული ჰქონდა — ორივეს გვესროლა“.

როცა პირველი ტყვია მოხვდა პრეზიდენტს, განავრძო მან, მარცხნივ მოვბრუნდი. პრეზიდენტმა დაიკვნესა და წაიქცა. შემდეგ ტყვია მე მომხვდა. ვიგრძენი, რომ მძიმედ დამჭრეს. კონელიმ დასძინა, მას შემდეგ, რაც ტყვია მომხვდა, ისევ პრეზიდენტს ესროლესო.

ვფიქრობ, თქვა გუბერნატორმა, პრეზიდენტმა კენედიმ თავისი სიკვდილით მოახდინა ის, რაც მის სიცოცხლეში არ მომხდარა: ისე შეარყია და შეაშფოთა ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო, რომ მიხვდებიან, თუ რა სიძულვილისა და შეუწყნარებლობის მზარდი კიბის სიმსივნით ვართ დაავადებული“.

კითხვაზე, როდის შეიტყვეთ, რომ პრეზიდენტი მოკვდა, კონელიმ უპასუხა: „შაბათს, მას შემდეგ, რაც საკმაოდ მოვედი გონს, რომ ამას მივმხვდარიყავი. ეს ჩემთვის ახალი ამბავი როდი იყო. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მოკვდა მას შემდეგ, რაც ჩემ თვალწინ ორი ტყვია მოხვდა“.

## სერიოზული უყურადღებობა გამოჩენებაში

სოფია, 28 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტ კენედის მკვლელობის საქმის გამოძიებაში არის სერიოზული შეცდომები, რომლებიც შეეწყნარებელია იურიდიული თვალსაზრისით, განაცხადა ბულგარეთის გაზეთ „ზემედელსკო ზნამესათვის“ მიცემულ ინტერვიუში დემოკრატ-იურისტების საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, პარიზელმა ადვოკატმა ჟოე ნორმანმა. უწინარეს ყოვლისა, თქვა მან, დალასის პოლიციას უნდა გამოერკვია, ერთი თუ რამდენიმე კაცი იღებდა მონაწილეობას პრეზიდენტის მოკვლაში. ჩემი აზრით, ტეხასის პოლიციისა და სასამართლოს ხელისუფლებმა სავსებით არადამაჯერებლად დაიჭიროს განეცხადებინათ, რომ ისეროდა მარტო ოსვალდი და მას არ ჰყავდა თანამონაწილენი, ამავე დროს წამოაყენა ბრალდება, რომ ოსვალდს შთაგონებდანაშაული მარქსისტულმა რწმენამ.

დალასში პოლიციის ასეთმა ქცევამ არ შეიძლება არ მოგვაგონოს გამოძიება რაინსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების გამო.

ჩვენ ახლაც კი არ ვიცით, თუ რა პირობებში შეძლო მკვლელმა თავდასხმის შემდეგ ქალაქიდან გაქცევა და დამალვა. გამოძიების დიდი ნაკლი ის არის, აღინიშნა ნორმანმა, რომ ოსვალდის მკვლელად გამოცხადების შემდეგ შეწყდა ყველა შემდგომი ძიება. თვით ბრალდებული ოსვალდის მოკვლა ჩრდილს აყენებს დალასის პოლიციას.

ყველა დემოკრატი იურისტის სახელით მტკიცე სურვილს გამოვთქვამ, რომ აღმოაჩინონ და მკაცრი მისაგებელი მიუზღან პრეზიდენტ კენედის ნამდვილ მკვლელებს, ხაზი გაუსვა დასასრულ ჟ. ნორმანმა.

## ჩომბე ემგზავრება

ლონდონი, 28 ნოემბერი. (საკდესი). კატანგელ სეპარატისტთა მეთაური ჩომბე, რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში თავშესაფარი პოვა ესპანელი ხალხის ჯალათ ფრანკოსთან, ახლა პარიზში გადაბარგდა.

ჩომბეს პარიზში ჩამოსვლის შემდეგ, იუწყება რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან, კვლავ გავრცელდა ხმები, რომ ჩომბეს განზრახული აქვს დაბრუნდეს კატანგაში. ამასთან, ხაზს უსვამს კორესპონდენტი, „კატანგის გამოყოფის ეს მოძრე შესაძლებელია კვლავ ეცდება ჩაუდგეს სათავეში ხელისუფლებას“.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის, რომ უკანასკნელ ხანებში საქმიანობა გააქტიურა კატანგის ყანდარმერიამ, რომლის დახმარებითაც ჩომბეს საქმე იქითკენ მიაყვდა, რომ მოეწყვიტა კატანგა. იუწყებიან, კერძოდ, რომ როდეზიასთან სასაზღვრო რაიონში თავმოყრილია რამდენიმე ათასი შეიარაღებული ყანდარმი ჩომბეს ყოფილი არმიიდან.

# ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე

## ლონდონი

## ...ბის ...ბ...

## ...ბ...

## ...ბ...

##

# ევგენიდ ევგენოვი

# Evgenia Ivanovna

## მოთხრობა

ჯარგი იერიდიული მეკერმეტყველებით, თუმცა სკოლის პროგრამის მოცულობით სტრატონოვმა თანამგზავრს დაუხატა ხსენებული ოცნების ნენელოგია. სიმოკლისათვის გამოტოვა ჯარი წარსული და დაიწყო დასავლეთის საშუალოსაკუნეთა ამბოხებათაგან, სახელდობრ, გლეხთა დიდი ომებიდან. რეფორმაცია დაუკავშირა ქრისტიანული მოძღვრების სოციალურ კრიზისს, „როცა საბოლოოდ გამოაშკარავდა საკურთხეველთან წარმოებული შეთქმულება... როგორ ვთქვა?... მდიდრებისა ქრისტეს მიერ ლატაკი უმცროსი ძმების წინააღმდეგ“. აქედან გამოიყვანა ახალი დროის ეტიბასტები, რომელთაც უწოდა „ინტელექტუალური ამბოხება ღვთის ბნელი მეუფეების წინააღმდეგ“, რისთვისაც ერთმანეთს დაუპირდაპირა აგუსტინის **Civitas Dei** და კალვინის **Civitate Solis**, ოდნავ შეიქო თავი ლათინურის ცოდნით, რამაც რამდენადმე შეალამაზა მისი უბადრუკი მოგმამაორობა. დაამრგალა, სადაც აზრი აზრს არ ეთანხმებოდა და ამრიგად, ენციკლოპედიტებისა და ადრეული სოციალიზმის მოხსენიებთან, პრომეთეს ცეცხლი ლენინური გაზეთის სახელწოდებამდე მოიტანა.

სტრატონოვმა იმით დამთავრა, რომ განაცხადა: გადამწყვეტი ტენდენციის წინ მძლავრი ძალები ამ მსოფლიო განმათავისუფლებელ ესტაფეტაში ჩაეხლნენო.

ევგენია ივანოვნამ მშვიდად გაუღიმა; — ეს, მართლაც დიდი მონაპოვარია მთელი დედამიწისათვის, თუ მხედველობაში პირადად თქვენი თავი გაქვთ, ჩვენ ყველს დიდი იმედი გვაქვს, რომ იმედს არ გაგვიცრუებთ.

ათ ნაბიჯზე მხოლოდ სტრატონოვის წკეპლა ზუზუნებდა და თავებს წყვეტდა გზისპირა ბალახებს.

— აქ, ტყეში, საუცხოოდ ამზადებენ მწვადს და ძლიერ მესიამოვნება, რომ მისი გავლენით თქვენი გუნება რამდენადმე გამოკეთდა, — თქვა შემდეგ სტრატონოვმა, — ამჯერად თქვენ ვერ მიხვდით, მისს პიკერინგ... მე ჩემი თავი კი არ მჭვია მხედველობაში, არამედ უზარმაზარი რუსეთი, რომელმაც იკისრა მისთვის ნინასწარმეტყველები სოციალურ კრიზისს, „როცა საბოლოოდ გამოაშკარავდა საკურთხეველთან წარმოებული შეთქმულება... შემოგვითი გზებისაგან განსხვავებით, აქ განზრახულია იქ წასვლა უმოკლესი გზით, მიწის მარშრუტით, თვებზე გადასვლით, **პირდაპირ**. გეთანხმები, ეს მეხეკრმლს მოითხოვს, მაგრამ ასეთი ეპოქების აღფრთოვანება თანამედროვეებს უნერგავს კატალეპტიკურ სმენტალიცეს და ნანგრძლივ უგრძნობლობას ტანჯვისადმი!

— და იმედი გაქვთ, რომ ამასთანავე ავლაც გადარჩენ? — ავად ჩაიცინა ევგენია ივანოვნამ.

— საღი სიცილი კარგია ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ეფრთა კიდევ არაერთგზის გაფთრდება, როცა ეს ადამიანები საქმეს ნამდვილად შეუდგებიან.

— ო, მაშინებთ თქვენი მუქარით, სტრატონოვ, რაიმე ჯოჯოხეთური განიზრახავთ?

ბოლოს წკეპლა გადატყდა სტრატონოვის ხელში.

— ვშიშობ, მისის პიკერინგ, რომ აქ მარტო ინგლისური ჰუმორით საქმეს ვერ უშველით. არსი მეტქარა კი არ არის, არამედ რუსული მაგალითის საგულისხმო თვალსაჩინობა!

— ბოდიში... **თვალსაჩინობა** რა აზრით? თუ თქვენ აპირებთ საკუთარი ბედი უჩვენოთ, თუ როგორ გამოდის იგი, მაშინ... არა, და თქვენ მართლა გგონიათ, რომ ეს გამოიწვევს წაბაძვას ევროპის მხრივ? მაგრამ ჩვენ დავშორდით თემას. საშუხაროდ, მე ჯერ კიდევ ვერ გამიგია, რად გინდათ ასეთი გრძელი შესავალი?

— ისევ მიდგა, — მისი ცქერით აფეთქდა სტრატონოვი,—რომ **მისმა** მეცნიერებამ თიხის ნამსხვრევებზე, დიდი ხნის ჭვდარის ნარჩენებზე შეიძერა მოიცავოს, როცა ცოცხლების დანგრეული ბუნებები ბოლავენ და შურისგებისათვის ოგვიწოდებენ. და სანამ ომისა და რევოლუციის სისხლიანი იარა შუბლზე აჩ�რუსეთს, მას სრულიადაც არაფრად ეფერობა თქვენი მეუღლის თხზულებანი... ან რა ჯანდაბად უნდა მას ზედიზედ ოფიციოზის ფოთოლი საყოველთაო აღიარების გვირგვინში, თუ იქ უჩემფოთლოლ ... საკმაო იქნება ოჯახური სუფრისათვის! — უეცრად შეაშინა თავისმა გამმაგებამ, შედგა და ერთხანს დუმდა, სახეზე ხელები მიიფარა, რათა თავდაჭერა ... ებრუნებინა. მაპატიეთ ჩემი შეუწყნარებელი ტონი, მისის პიკერინგ. წუხელ ... ედად მეძინა, გარდა ამისა, მაჯარს ... ბარდი ჩამიჩს, ეს კი ლოთებმიც არ არის ... ეკომენდებული...

— მით უმეტეს მუშაობის დროს, — ... ბუნეი საყვედურით დაეთანხმა ევგენია ივანოვნა. — ჩემთვის ოდნავ ნაცნობია თქვენი ბიოგრაფია და ამიტომ გასაგებია თქვენი მდგომარეობა, მაგრამ მეუშფონეთ, თქვენი პატრონები ისე უნდობლები არიან, რომ... კიდევაც რომ დაეხმარა თქვენი ერთგულება, არა მგონია, მან თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესოს. მოდით, გამოვცადოთ ლაბარაკის ... ემა.

მკაცრმა გამომეფხიზლებელმა ქარმა ... აბერა ამ ქალისაგან, რომლის ფიქრები ... ეუკითხველი დარჩა. მართლაც, თავისი ... ხამდებობა სტრატონოვს შეეძლო მიეღო მხოლოდ საკმაო შემოწმების შემდეგ, ... ლბათ საჯარო მონანიებით ხალხმრავალ ... ედიტორიაში და უფრო მკაცრი პირობებით, რომ შეცდომა აღარ განმეორებულიყო. მას სულაც არ უნდა დაეწყო ... ეთი რამეების განხილვა უცხოელის ... ოლთან, და ახლა საჭირო იყო ზემოთ ... ელი მიებრუნებინა სწორი მხრისაკენ, ... თა მთავრობისათვის ეპატაჟნა მომხდა- ... გასეირნების ამბავი... ამრიგად, სტრა- ... ონოვის სიტყვით, საუკუნის უკანასკნე- ... ი მეოთხედის რუსეთის გარემოებათა ... ენობა აგვიხსნის რუსების მგზნებარე ... წრაფებას ხელი მოჰკიდონ სოციალ- ... ურ გარდაქმნის: ზედიზედ ორი სამხე- ... ო განადგურება, გადაგვარებული ზე- ... ფენა, მუდმივი სიბნელე და შიმშილი ... ვარალ ბურუსში, მდუმარე ხალხის ... ავალჯერ დახვრეტა, უაზრო ომი და, ... ელოს, მზარდი უფსკრული სიმდიდრესა ... ს სიღარიბეს შორის — ყოველივე ეს ... ქმა საბაბია, რომ სისრულით გამოვ- ... ნდეს ეროვნული ტემპერამენტი.

— ეს გმირული გადაწყვეტილება — ... ბრას წინ, უსაზღვროდ ამაღლებს ჩემს ... ეყანას მსოფლიოს ყველა პატიოსანი ... ამანის თვალში, — დაასკვნა სტრატო- ... ვმა.

— ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო მე- ... ნა თქვენთვის, — შემრიგებლურად ... ბრა ევგენია ივანოვნამ, — თანაც ისე ... ამაზად ლაპარაკობთ, რომ ეჭვი მეპარე- ... ლესებს ხომ არ წერდით ოდესღაც... ... გამ გაკლიათ გულწრფელობა. —თბი- ... ში გავიგონე, რომ ადამიანები თქვენ- ... ი ზრდებინან არა დღეობით, არამედ სა- ... ბით, მაგრამ მერწმუნეთ, ძვირფასო ... ტონოვ, თქვენმა ეს ხდება... მეტად ... ადად, თუ იმას შევადარებთ, რასაც ... ერთი დღე და ღამის წინათ ამბობდით. ... იგი გაჩუმდა, რათა ნათქვამის შხამი ... ელიყო უფრო შორს. — გარდა ამისა, ... ენ გათვალისწინებული არ გვაქვს ოფი- ... ალური მიღება თბილისში, და საერ- ... ოდ გიჩქარით შინ სასწავლო წლის და- ... ყისისათვის... ასე რომ უბრალო შე- ... ხვედვაც კი არ მექნება გაკლენიან პი-

დასასრული. დასაწყისი იხილე ჩვენი ... ეთის №№ 274, 275, 276, 277, 278-ში.

...ოთ, რომელნიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჯენტლმენს და რომელთაც მეტისმეტი ქიბით ორაზროვანი და საწ�აოდმდგომ ელფერი ეძლევათ, თანაც ამას იქმოდა იმ სათაკილო-შემწყნარებელი გაზეთადებით, რითაც ბედნიერი. საყვარლები ცდილობენ დაჯილდოვონ მოტყუებული ქმარი მიყენებული შეურაცხყოფის გამო და ამით გაიძლიერონ ქერდობით მოპოვებული სიამე... უეცრად იგი დასუსტდა, ხმა ჩაწყდა და გაჩუმდა.

მის საბედნიეროდ, იქვე, გვერდით, გაისმა წყნარი, მელოდიური სიმღერა. ევგენია ივანოვნამ ხელით ანიშნა, შეჩერდიო და თვითონაც გაჩერდა. ხანში შესული სამი ქართველი ქალი, ალბათ მეგობრები, მაგრამ სხვადასხვანაირი, რომელთაც ერთნაირი ჩიხტა-კოპი ეხურათ, ერთმანეთის მოშორებით იჯდა ძირდაფენილ ხალიჩაზე. სანამ მათი უზარმაზარი, მხარბეჭიანი ქმრები ურმებზე ცარიელ კასრებს აწყობდნენ, ისინი დაბალი ხმით მღეროდნენ რაღაცას მხოლოდ თავისთვის, ალბათ მოგონებას დაუბრუნებელ წარსულზე და ხანდახან ასწევდნენ წარბს ან თითს... მეოთხე, უფრო ახალგაზრდა, რომელსაც თავზე შავი ღაბლის თავსაფარი ჰქონდა, ჩონგურს უკრავდა.

— მაშ რაზე შეჩერდით, ბატონო სტრატონოვ? — ჰკითხა შემდეგ ევგენია ივანოვნამ, რომელიც მიდიოდა, მაგრამ



...ლი დარბიდან გამოიხედა გამოუძინებელმა პოოკალიპსურმა არსებამ, რომელსაც ფაფარი ეხურა. სტრატონოვმა კარგი მოზრდილი მინის სასმისი გამოცალა, ფიხლზე დამატებითი ხურდა-ფული დაყარა და რაღაც შეუკვეთა უფრო მომცარო სასმისით. ხელი ჩაიქნია ღვეზელზე, მეღიტნენ რომ ორი თითითი მოართვა და მერე ის თითები დელეკატურად გაიწმინდა ზედატანზე. სტრატონოვი გარეგნულად ჩამქრალი, მაგრამ ავი და გულჩახვეული დაბრუნდა.

მისი გახურებული სახე ისე საამოდ და დროულად გაგრილა ამ დროს ადიდებული ალაზნიდან მოსაქროლმა ნიავმა. მდინარე გამოჩნდა იქვე მოთეთრო ცაცაბა კლდესთან, რომელზეც უკანასკნელი მშვენებით ჰყვაოდა ასკილის ბუჩქი, ფეხებქვეშ ქვიშა ახრაშუნდა, მუქი ბზინვით რომ ძლიერ მოგაგონებდა გველის ჭერანგს. ევგენია ივანოვნამ ეს სტრატონოვსაც უთხრა, მაგრამ მას ყურადღება არ მოუქცევია. ბრუნდებოდნენ სხვა გზით, ბილიკი იკლაკნებოდა წყალდიდობის დროს მოგორებულ ქვებში.

— რა უნდა შემმოვთავაზებინა მაშინ თქვენთვის, ერთად თვითმკვლელობის გარდა? და განა შეეძლო წამეყვანე თან, თუ კი ნამდვილი სიკვდილი მომელოდა თხრილში, პირველსავე სასაზღვრო საგუშაგოსთან? — წყნარად თქვა სტრატონოვმა — მერე რამდენჯერ მესროლეს...

— ჰოდა, დაინტერესდა ევგენია ივანოვნა, — ყოველთვის აგაცდინეს?

— ო, მარტო ეგ რომ ყოფილიყო... მას შემდეგ, რაც გამათავისუფლეს, მე ვიყავი ლაქების გამომყვანი, მასაჟისტი, სპეკულანტის. ხელქვეითი, დამტვრეული ფაიფურის მეკოწიწე და კიდევ რაღაც... ყველაფერი მკვდრის გარდა, ყოველი მხრიდან მერეკებოდნენ: მოხეტიალე, თუნდაც უნივერსიტეტის სრული კურსი დამთავრებული არ ჰქონდეს, მუდამ საეჭვო კარიერაცესათვის, ვინც ჩათვლით კითხულობს. მაგრამ მთელი იმ წლების მანძილზე ვცხოვრობდი მხოლოდ იმ ჩაუქრობელი შუქით, რომელიც თქვენგან დამრჩა. დაე, არ მინდა ბედი შევცვალო... თქვენ ხვალ გაემგზავრებით, მე კი დავრჩები, რათა თეორი ცხელებით ვიწვოდე. და ეს ღამე აღარ განმეორდება, როგორც სიცოცხლე, მაგრამ სულ ერთია, მიყვარხარო, როგორც ფანატიკოსი თაყვანს სცემს ღვთაებას: ისე, რომ შეწყალების იმედი არა აქვს: ყოველ ბგერაში, მას შემდეგ რომ მზიბლავდა, — გრგვინვა მთებში, ბალახის შრიალი, ჩიტის ჭიკჭიკი, — მხოლოდ თქვენი ხმა მესმოდა ამქვეყნად... დამინიშნეთ როგორიც გინდათ ტკივილი, ოღონდ ამოიწვას ხსოვნა თქვენი.

ევგენია ივანოვნამ კვლავ ცნობისმოყვარეობით გაიფიქრა, რომ სტრატონოვი, ქაღალა სიფეთქლების მიუხედავად, წინადადებურად ცოდავს ლექსების წერით. ცოცხლად გაახსენდა სხვა, ხსოვნაში ოდნავგაბუნებული სალამ გიმნაზიაში ჩვიდმეტი წლის აპრილი, როცა გამომრთელების ხანაში მყოფი ოფიცერი როიალის აკომპანიმენტით კითხულობდა მყვირალა ლექსებს, სადაც ნახსენები იყო თვითმპყრობელობის თუჯის ბორკილები, სისხლით შეღებილი დროშები და სხვა ადეკატური მშვენებანი.

— თქვენ ასეთ რამეებს არ უნდა მეუბნებოდეთ, ბატონო სტრატონოვ, — თითქმის მეტისმეტი თავდაჭერით უთხრა ევგენია ივანოვნამ.

— აჰ, ჩემთვის სულ ერთია, სულ ერთია... — თავდავიწყებით იმეორებდა იგი როგორც ორმოდან, რომელსაც თავზე ღოდს ახურავენ, — სულ ერთია თქვენს ხსოვნაში სიკვდილამდე დარჩება ჩვენი გაქცევნება და დაწინდვის წმინდა ღამე. გასსოვს, მდუმარენი ვიყავით დაჩოქილნი... დედაბერებს ხატები ეჭირათ ხელში და ტიროდნენ. მე ბეჭედი დაგიდე ცხელ ნახევრადბავშვურ ხელისგულზე, რომელიც სამუდამოდ დაიხურა. თვით ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი ჩემი გვარის ყველა დედათა ღოცვების შესენით... და სულ ერთია, სულ ერთია, როგორც უნდა გაგვთიშოს ცხოვრებამ, იმ ღამიდან ერთი წუთითაც არ დავშორებივართ ერთმანეთს. თბილისის ჩემს სხვენზე არის ერთი ტაბურეტი, რომელზეც არავინ არ ჯდება იმიტომ, რომ ბინდი იმაზე თქვენ ზიხართ და ვიცი, ვიცი, თქვენ გიყვართ იმაზე ჯდომა... არსად არ გეპატიჟებით, ლატაკს აჩრდილიც ეყოფა, ახლა იქიდანაც წახვალთ, ეს უკანასკნელი განთიადია, მე და თქვენ რომ ვიზიარებთ. სულ ერთია, სულ ერთია! ალატეეთ სტრატონოვს მისი უბედურებანი... და კუთხეეულ იყოს შენი სახელი, ქენი, უკუნითი უკუნისამდე!

დამაჯერებლობისათვის თავიისი აღიარება იმით დაამთავრა, რომ ქუდულად ოდნავ შეეხო მის იდაყვს, და მაშინ ევგენია ივანოვნამ სილა გაარტყა, სრულიად არა მტკივნეულად გაარტყა, იმის ხდება მკვიდრი მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმი მიმართულ იქნეს ჩვეულებრივი გლეხური დღესასწაულის კალაპოტში; ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენამდე, ისე როგორ მოხარული ვარ, ... ეგზეკუციამდე, მოაღწია ამ რამდენადმე ეგზოტიკურმა გართობამ... და მოკლე ლექციას დამთავრდა უბრალო ხალხის საქონლის ჩამოთვლით, საკაჭროდ რომ გამოაქვთ ხოლმე ალავერდის ბაზრობაზე.

**ლაბრუნებისას** სტრატონოვი ჩამორჩა, რომ ფიჩი მოეგრეგებინა კოცონისათვის. გასაოცარია, რომ ინგლისელმა როგორღაც არ მიაქცია ყურადღება ევგენია ივანოვნას, რომელიც კი აგრეთვე არა მეტად დიდი, თანაც მჭიდრო ჯგუფად მდგომნი ადგილობრივი მცხოვრებნი და უსაქმოდ მოხეტიალენი. მეზობელი კოცონებიდან ბევრმა შეიტყო ამბავი სტუმრების იქ ყოფნა და მოვიდნენ, მათ შორის ადვილად გამოსაცნობი რუსებიც, რათა ერთი ჭიქა ღვინით დაელოცათ მათი შორი მგზავრობა. თუმცა მსოფლიო სახელით და გარეგნობით ინგლისელს აკაცილებთ მეტი ყურადღება უნდა დაემსახურებინა, მაგრამ ყველანი რატომღაც ინგლისელს კი არა, არამედ მის ახალგაზრდა ცოლს უცქერდნენ იმ დასამახსოვრებელი მოდგმისა თვალით, რომელიც მით უფრო მოეშორებელია იმისადმი, რასაც სამუდამოდ ეთხოვები.

და მაშინ ევგენია ივანოვნას გამძაფრებულმა ცქერამ შეამჩნია იმ ცვლილებათა მნიშვნელობა, რაც მის არსებაში მოხდა. ყველაფერი რაც გაკეთებულთა თვალებში გამოსჭვეოდა: მოკრძალებული სიამაყე და დიასახლისის ზრუნვა, შრომით შეწუხება და ოჯახური ტრაგიკული ყოველდღიურობა, — ყოველივე ეს უკვე აღარ ეკუთვნოდა მას. ევგენია ივანოვნამ ეს შეიტყო არა შვების მიმნიჭებელი სასურველი გრძნობით, არამედ რაღაც მჩქეფავი დანაშაულებრივი შეშფოთებით და ისეთი დანაკარგის შეგნებით, რომელსაც ვერარ დაიბრუნებ. ახლა იგი სრულიად განთავისუფლებული იყო ყოფილი სამშობლოს მწუხარებისაგან, ახლანდელი და იმ მომავალი უბედურებისაგან, რაც ამ ადამიანებს შეხვდებოდათ შემდეგში, ხშირად აუტანელი შრომისა და ეპიკის იმ განცდებისაგან, რომლებიც მათ აახლოებენ, როგორც მრისხანე ისტორიული პაროლი. ხელით შეეხებოდა — ისე ახლოს იყვნენ ისინი, ხოლო უკვე ზღვათა სივრცეთი აშორებდნენ მათ ევგენია ივანოვნასაგან და, როცა მან შორიდან თითქმის მორცხვად გაუღიმა დარჩენლი, მათ თავგაბიანი გულგრილობით უპასუხეს, იმიტომ რომ უცხოელ ქალთან ძველებურად, შინაურულად გამოთხოვება ახლა უზრდელობა გახდა, წესი არ არის.

მერმე მისტერ პიკერინგმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს პატივისცემისათვის. სხვათა შორის იკითხა ბაღიგაზა ინგლისში ხომ არაფერი გესაქმებათ ხოლმეო. არაო, უპასუხეს თელიანელებმა, როგორღაც არაფერი საქმე არა გვაქვსო.

— იცოცხლეთ და იცხოვრეთ კარგად, რათა მედამ ლაპარაკობდის მარადიული აზრი, როგორც მშვენიერი კახური ღვინო, — თითქმის უაქცენტოდ წარმოთქვა ინგლისელმა გამოთხოვებისას.

— შენი წარსულიც ისე თხარე, — იმავე ამაღელვებელი ტონით უპასუხეს თელიანელებმა, — რომ ხელი შეეწყოს მომავალს იყოს უფრო პატიოსანი და უფრო მშვენიერი!

— მშვიდობისა... — მოულოდნელი დაძაბულობით წარმოთქვა მისტერ პიკერინგმა, რომელმაც უკვე იცოდა რომ ქართულად ეს ნიშნავდა ნახვამდის.

— ვინ ბანია, ბანაცაოლეთ! — ერთობლივად გაეცინათ თელიანელებს და ყოველი მხრიდან მეგობრულად შეეხეხენ მის ბეჭებს.

**ეოფერმა** იკითხა, მანქანა ხომ არ დაეჭარბებოთ: უელტეხილზე ჩამოწოლილი ღრუბლები ავდარს უქადიდნენ. ერთ წუთს ხელებდაშვებულნი იდგნენ და დუმილს ანდობდნენ ბოლომდე მეტანა უთქმელი სიტყვები. საყვირზე ხალხმა გზა მისცა მანქანას. სტრატონოვი შეხტა და თავისი ადგილი დაიკავა. ... ერისაგან დაბრალნი, დაიძრნენ გზისპირა სარეველა ბალახებიც.

ევგენია ივანოვნას მთელ თავის სიცოცხლეში არსად იგი მძაფრად არ ენატრებოდა წასვლა, როგორც ახლა ინგლისში, უცნაურ, ნისლოვან ინგლისში... სადაც შემდეგი წლის გაზაფხულზე უნდა გარდაცვლილიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მარტობამ რაც კვლავ ეწია მისტერ პიკერინგს, აიძულა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავდავიწყებით ჩაფლულიყო ედესის თავის განთქმულ გათხრებში, რაც აღწერილი ამბების შემდეგ მალე დაიწყო... აქვე უნდა ითქვას რომ ცოლის დალუპვა ბრიტანელმა ექიმებმა აუხსნეს შშობიაობის შემდგომი გართულებით; მათი ღიაგნოზი უფრო ზუსტი იქნებოდა, თავიანთი პაციენტის შესახებ, ავადმყოფობის ისტორიის გარდა, ხელთ რომ ჰქონოდათ თუნდაც მოკლე ცნობები, რომლებიც ამ მოთხრობაშია ჩამოყალიბებული. იმის გამო, რომ ინგლისელები არასოდეს არ სტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რაკი გაიჩნიათ საუცხოო უნარი — იგი თან მიიტანონ ახალ საცხოვრებელ ადგილებზე, მათ თითქმის არასოდეს არ ეწვევათ ხოლმე ნაღველი სამშობლოზე. მისი რუსული გაგებით. ნოსტალგიის სენით იქ იგულისხმება არა მომაკვდინებელი შეუძლოდ ყოფნა, რასაც იწვევს კლიმატური პირობების გამოცვლა, ჩვეულ წრეებთან განშორება, უცხო ადამიანებთან გამარტივებული ურთიერთობა. ასე იყო წარსულშიც: დასავლეთის ცივილიზაციით გაუფუჭებელი ჩვენი ლტოლვილების ცდა — თან წაეღოთ ერთი გუნდა მკაცრი რუსული თოვლი უფრო ზომიერი ჰავის ქვეყნებში, მარცხით თავდებოდა: თოვლი გარდუვლად დნებოდა.

...მაგრამ იმ წუთს მისის პიკერინგი თავს მეტად კარგად გრძნობდა, ზოგჯერ სრულ უწონობასაც განიცდიდა, თუმცა გულიც ჩქმეტდა, ვით ჩამოვარდნისას, რაც თან ახლავს სამშობლოს გამოცვლას. რაღაცამ უკან მიახედვინა... თავლურ ჭუჭყიან ფანჯარაში ზურგს უკან ჩანდა, როგორ გიზგიზებდა მინდორში მიტოვებული კოცონი. ქარს ბღუჯა-ბღუჯად გამოჰქონდა ნაბერწკლები, მანქანას რომ უკან მოსდევდნენ. მერმე ბიუკმა ნუშის კორომთან მოუხვია და დროთა ვითარებით გამოწვეული ნაფხაჭნების გვერდით ცელულოიდზე გამოჩნდა წვიმის მოძრავი ნაკვალევი.

**თარგმანი ა. ბუმბაძისა.**

**1938-1963.**



**მხატვარი ბ. როინიშვილი.**

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა



## „აურზაური არაფრის გამო“

### პრემიერა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

**თბილისის** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს გენიალური ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის დრამატურგიაზე მუშაობის საუკეთესო ტრადიცია აქვს. აქ სხვადასხვა დროს წარმატებით დაიდგა „ანტონიოს და კლეოპატრა“, „რომეო და ჯულიეტა“, „რიჩარდ მესამე“ და სხვ.

გუშინ თეატრმა თავის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა შექსპირის კიდევ ერთი ნაწარმოები — კომედია „აურზაური არაფრის გამო“. სპექტაკლი მიძღვნილია დრამატურგის დაბადების 400 წლისთავისადმი, რაც მომავალ წელს სრულდება.

სპექტაკლის დამდგმელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ილიო ითოლელიანი, მხატვრობა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო მხატვარს ელენე ახვლედიანს, მუსიკა — კომპოზიტორ იულხან ნასიძეს, ქორეოგრაფია — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს — გულბათ დავითაშვილს.

პრემიერის დღეს სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. ჯაფარიძე, ა. კვანტალიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. მაღალაშვილი, გ. ნინუა, დ. ქუთათელაძე, ა. ვერულეიშვილი, ი. ტრიპოლსკი, ლ. ანთაძე, მსახიობები თ. მაისურაძე, მ. ბებურიშვილი, ო. მელინოთუხუცესი, მ. თაბუკაშვილი, ვ. ცხვარიაშვილი, კ. თოლორაია, მ. სიხარულიძე, ლ. შოთაძე, ე. ერქომაიშვილი.

## მეგობროების განუყრელი გზები

თითოოროლამ ითავა, შემდეგ ერთმანეთს გაუზიარეს და თითქმის ყველას მიაწვდინეს თავიანთი სურვილი: შეკრებილყვნენ ძველი ინსტიტუტელი მეგობრები.

და აი 26 წლის შემდეგ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის 1937 წლის კურსდამთავრებულებმა გასულ შაბათს თავი მოიყარეს ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის კორპუსში. მეგობრები ჩამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხიდან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა ა. გულისაშვილმა, რომელმაც ამოიკითხა 1937 წელს კურსდამთავრებული №№ 90, 91 და 92 მეტალურგიული ჯგუფების ჟურნალები, შემდეგ მოკლედ შეეხო მეტალურგიის განვითარების გზებს საქართველოში და აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც აღნიშნული ჯგუფების კურსდამთავრებულ მეტალურგებს შეტანილი აქვთ ამ საპატიო საქმეში. 26 წლის შემდეგ ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს მეგობრებმა. კათედრაზე ერთმანეთს სცვლიდნენ მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში პროფესორი მ. კეკელიძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლენინური პრემიის ლაურეატი ს. შარაძე-ნიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ცქიტიშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსი ინჟინერი ა. ბაირამოვი და სხვ.

შემდეგ სტუდენტობის დროის მეგობრებმა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი სცეს საქართველოში მეტალურგიის ფუძემდებლის პროფესორ გ. ნიკოლაძისა და უდროოდ გარდაცვლილი თანაკურსელების ხსოვნას.

თავიანთ მეცნიერულ და შრომითს საქმიანობაზე ისაუბრეს აკადემიკოსმა ფ. თავაძემ, პროფესორმა ა. ხვიჩიამ, დოცენტებმა ქ. ავალიანმა, ლ. ნადირაძემ, დ. ჭელიძემ, შ. ფხაკაძემ, ვ. გიოშვილმა, პ. დობორჯგინიძემ, გ. ნორაკიძემ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ლენინური პრემიის ლაურეატმა ნ. გომელაურმა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ.

შეხვედრამ გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. თანაკურსელებმა მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ინსტიტუტის დამთავრების 30 წლის თავზე, შეხვდნენ ახალი წარმატებებით, ახალი გამარჯვებებით ხალხისათვის კეთილსინდისიერი შრომის ფრონტზე.

**ა. ბერუჩევი,**
ინჟინერი-მეტალურგი.

## ეს დღეები გაგრაში

**შემოდგომა** მიიწურა, მაგრამ საქართველოს ზღვისპირეთის მარგალიტი — გაგრა კვლავ მზის სხივებით არის გაკაშკაშებული. საკმარისია ითქვას, რომ ნოემბერში ჯანმრთელობის კერებში აქ შვებულება გაატარა ხუთი ათასზე მეტმა მშრომელმა. ბევრი მათგანი ესტუმრა შავი ზღვის სანატორიუმებიდან, ურალიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და სხვა ადგილებიდან, სადაც ამჟამად სუსხიანი ზამთარი დგას. და რა გასაკვირველია, რომ მათთვის 20 გრადუსი სითბო და 15 გრადუსი ზღვის ტემპერატურა შუა ზაფხულივით მიმზიდველია. მართლაც, გაგრის მზიანი პლაჟები მობანაველებით არის სავსე.

დიდი გამოცოცხლება სუფევს ნავსადგურში. აქედან ყოველდღე ასობით ექსკურსანტი მიიჩქარის კატარღებითა და კომფორტაბელური ავტობუსებით სოჭის, ბიჭვინთის, ახალი ათონისა და სოხუმის მიმართულებით.

ამ ფოტოსურათზე, რომელიც ამ დღეებშია გადაღებული, თქვენ ხედავთ წყალქვეშაფრთიანი კომფორტაბელური ექსპრესს „კომეტას“, რომელიც ექსკურსანტებით კურსს იღებს გაშლილ ზღვაში.

ტექსტი და ფოტო ი. გობეჩიასი.

## ადამიანი ადამიანისათვის

ეს მოხდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ხრესილში...

ახალგაზრდა კოლმეურნე რევაზ ობოლაძე საკარმიდამო ნაკვეთში გამხმარ ხეს ჭრიდა. მოხდა ისე, რომ ხე წაქცევისას ელექტრომავთულებს დაეცა, მავთულებში გაიხლართა ხის მჭრელიც და იგი დენმა მიიკრა... შვილს დედა მიეშველა, მაგრამ არათუ ვერ იხსნა შვილი, მის ბედში აღმოჩნდა.

განწირულთა საბედნიეროდ, მათ თვალი მოჰკრა მეზობელმა, მოხუცმა კოლმეურნემ ისმაილ ობოლაძემ. მან არ დააყოვნა და დენქვეშ მოყოლილთ ხმელი ჯოხით მოამორა მავთულები, თან მეზობლებს დასახმარებლად გადასძახა.

მშველელთა შორის კინომექანიკოსი მირიან ობოლაძე და ელექტრომონტიორი გივი დოღონაძე აღმოჩნდნენ, რომლებმაც სწრაფად გადაჭრეს ელექტრასადენები, დედა-შვილს პირველი დახმარება აღმოუჩინეს და მოასულიერეს.

ასე გადარჩა კეთილი ადამიანების წყალობით ორი ადამიანის სიცოცხლე.

(საკ. კორ.).


## არქეოლოგიური ნაპოვნი

**მიმდინარე** წელს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივმა ოთხი დაზვერვითი ექსპედიცია მოაწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის აქტივი და მოსახლეობაც.

სოფელ აბანოს დოლომიტის საწარმოს მუშამ მ. შუბითიძემ ექსპედიციას გადასცა მის მიერ საწარმოს ტერიტორიაზე მიწის თხრის დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის იარაღები და სამკაულები. ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ყუამილიანი ცული და ცხენის მოკაზმულობა, რომელიც ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუახანებს მიეკუთვნება. გადმოცემული ბრინჯაოს შუბისპირები კი ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებით თარიღდება.

საინტერესოა აგრეთვე მ. შუბითიძის მიერ გადმოცემული ანტიკური ხანის კერამიკის ნიმუშები, სხვადასხვა ხალებავით მოწარნაჭებული ჭილები, დოქები, ჯამები და ჯამფილები (მიეკუთვნებიან ძვ. წ. VI-IV საუკუნეებს).

ხურამის მარცხენა მხარეს გზის გაყვანისას მშენებლობის უფროსმა გ. ულუმბელაშვილმა იპოვნა და მუზეუმს გადასცა ბრინჯაოს კოლხური ცული (მიეკუთვნება ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისს).

მუზეუმს საჩუქრად გადასცეს აგრეთვე ბრინჯაოს იარაღები, სამკაულები და ძველი მონეტები ნოფელ ხეცისის საშუალო სკოლის პედაგოგმა დ. ლობჟანიძემ, ატოცის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა კ. მჭედლიძემ და სხვ.

ბრინჯაოს აღნიშნული იარაღები და სამკაულები გემოვნებით არის დამუშავებული და ქართველ წელოსანთა მაღალ ოსტატობასა და კულტურაზე მიუთითებენ.

**ვ. გურგენიძე,**
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.


## ფეხბურთელთა ტურნე

**უკვე** ტრადიცია გახდა — სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები გაწაგრძობენ სეზონს საზღვარგარეთ. ამჯერად „სპარტაკის“ (მოსკოვი), „ნეფტიანიკის“ (ბაქო), „შახტიორის“ (დონეცკი), „დინამოს“ (კიევი), „შინიკის“ (ბარნაული), „დინამოს“ (ლენინგრადი) და „ჩერნომორეცის“ (ოდესა) გუნდებთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრებიან სსრ კავშირის ნაკრები და ოლიმპიური გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი 1 დეკემბერს გამოვა კასაბლანკაში **მაროკოს ნაკრების** წინააღმდეგ. შემდეგ 4 და 6 დეკემბერს ჩვენი ნაკრები ბელგიაში შეხვდება ძლიერ გუნდებს **„ანდერლეხტს“** და „ლიეჟს“. კიდევ ორ მატჩს გამართავენ საბჭოთა ფეხბურთელები 10 დეკემბერს ამსტერდამში ჰოლანდიის გუნდთან **„ბლაუ ვიტთან“** და 12 დეკემბერს როტერდამში **„ფეიენოორდთან“**.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები ეწევიან სამხრეთ ამერიკას. 4 დეკემბერს რიო-დე-ჟანეიროში იგი შეხვდება პროფესიულ გუნდს **„ფლამენგოს“**. ოლიმპიელთა შემდეგი მარშრუტია: **ჩილი-არგენტინა-ურუგვაი.** შესაძლებელია ისინი ჩავლენ პარაგვაიშიც.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა ოდნავ შეიცვალა რომის მატჩთან შედარებით: ლ. იაშინი, რ. ურუშაძე, ე. მუდრიკი, ა. შესტერნევი, ვ. შუსტიკოვი, ა. კრუტიკოვი, ვ. ბლოტოვი, ვ. ვორონინი, ვ. კოროლენკოვი, ი. ჩისლენკო, ვ. ივანოვი, გ. გუსაროვი, გ. ჰუსაინოვი, ე. მალაფეევი, ვ. პონედელნიკი, და დებიუტანტები — ო. სერგეევი მოსკოვის „ტორპედოდან“, მ. მუსტაგინი მინსკის „დინამოდან“ და კ. ტუაევი „ნეფტიანიკიდან“.

რვა კლუბიდან ჩვიდმეტი ფეხბურთელი შევიდა სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში: ს. კოტრიკაძე, ვ. ლისიცინი, ვ. პონომარიოვი, მ. ხურცილავა, ვ. ტურიანჩიკი, ვ. დანილოვი, გ. რიაბოვი, ვ. ანიჩკინი, ა. ბიბა, ვ. მასლოვი, ბ. კაზაკოვი, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. ლობანოვსკი, ო. ბაზილევიჩი, ვ. ფადეევი, ნ. რიაზანოვი და გ. კრასნიცკი. (საკდესი).

## ფრე ქუთაისში

**გუშინ** ქუთაისში გაიმართა საკავშირო საიუბილეო პირველობის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში. ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ შეხვდა „ტორპედოს“. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

ამრიგად, ქუთაისის ტორპედოელებმა მიმდინარე სეზონში ჩემპიონს სამი ქულა წაართვეს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ კაპიტნებმა საზეიმოდ დაუშვეს ჩემპიონატის ალმი.

ქუთაისის ტორპედოელთა მაჩვენებელი გასულ სპორტულ სეზონთან შედარებით უკეთესია. მათ მთელ რიგ მატჩებში მაღალი სპორტული ბრძოლა აჩვენეს.

## ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | გ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 38 | 21 | 13 | 4 | 47—14 | 55 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 38 | 22 | 8 | 8 | 65—33 | 52 |
| „დინამო“ (მნ.) | 38 | 18 | 12 | 8 | 47—27 | 48 |
| „ს კ ა (როსტ.) | 38 | 20 | 7 | 11 | 73—40 | 47 |
| „დინამო“ (თბ.) | 38 | 17 | 13 | 8 | 56—42 | 47 |
| „ზენიტი“ (ლ.) | 38 | 14 | 17 | 7 | 45—32 | 45 |
| ცსკა | 38 | 14 | 17 | 7 | 39—27 | 45 |
| „ნეფტიანიკი“ (ბ.) | 38 | 18 | 9 | 11 | 48—44 | 45 |
| „დინამო“ (კ.) | 38 | 16 | 12 | 10 | 68—48 | 44 |
| „ტორპედო“ (მ.) | 38 | 12 | 16 | 10 | 46—41 | 40 |
| „შახტიორი“ (დ.) | 38 | 11 | 14 | 13 | 29—33 | 36 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 38 | 6 | 21 | 11 | 22—37 | 33 |
| „მოლდოვა“ (კიშ.) | 38 | 8 | 16 | 14 | 27—43 | 32 |
| „კაირატი“ (ალმ.) | 38 | 10 | 12 | 16 | 28—47 | 32 |
| „კრ. სოვეტ.“ (ცუიბ.) | 38 | 11 | 7 | 20 | 45—53 | 29 |
| „დინამო“ (ლ.) | 38 | 7 | 15 | 16 | 37—51 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (მ.) | 38 | 5 | 19 | 14 | 37—54 | 29 |
| „არარატი“ (ერ.) | 38 | 9 | 8 | 21 | 34—57 | 26 |
| „ავანგარდი“ (ხ.) | 38 | 6 | 13 | 19 | 25—56 | 25 |
| „პახტაკორი“ (ტ.) | 38 | 4 | 18 | 21 | 44—83 | 21 |

## ოლიმპიადა

### ოქროვანი ტორტი

## ოქროვანი ტორტი

**ოლიმპიადის** ბოლო დღეებში ბერლინში ოქროვანი ტორტი ერგოთ ორ ადამიანს — ერთ ბერძენ ქალბატონს ანა ბაბანარეს, ოლიმპიადის ბანაკის ექიმს, ... ... ...